

## შუა აზიური დიპლომატია – 20 წლის შემდეგ

*თორნიკე შარაშენიძე*

*GIPA-ს პროფესორი და საქრთაშორისო ურთიერთობათა პროგრამის კოორდინატორი*

### ვის ინტერესებს ურტყამს გაზის კარტელი?

უკვე წელიწადზე მეტია, რაც საუბარი მიდის გაზის კარტელის შექმნაზე. ეს თემა სიამოვნებით აიტაცა რუსეთმა, მასზე საუბრობენ ირანშიც. გაზის კარტელი უკვე წარმოდგენილია როგორც ახალი ოპეკი, რომელიც გააერთიანებს რესურსებით მდიდარ მაგრამ სხვა მხრივ ძირითადად ჩამორჩენილ ქვეყნებს და საშუალებას მისცემს მათ თავიანთი წესები აქეთ უკარნახონ განვითარებულ და ძლიერ დასავლეთს, ისე როგორც გააკეთა ეს 70-იან წლებში ოპეკმა, როცა განგებ ასწია ნავთობზე ფასი “შავი ოქროს” დეფიციტის შექმნის გზით.

მაგრამ გაზი ნავთობისგან განსხვავდება. ეს უკანასკნელი იოლად გადაიზიდება დაი საბირჟო საქონელს წარმოადგენს, მისი ფასი მთელი მსოფლიოსათვის დგინდება იმის მიხედვით თუ რა ვითარებაა ბაზარზე – ნავთობის სიტყარზე თუ დეფიციტი. გაზის ფასი კი დგინდება ლოკალურად, მიმწოდებელსა და მომხმარებელს შორის მიღწეული გარიგების შედეგად. ეს მიმწოდებელი და მომხმარებელი მეზობლები არიან ხოლმე და ისინი ერთმანეთს გაზსადენით უკავშირდებიან. აქედან ლოგიკურად გამოდის, რომ გაზის ოპეკის შესაქმნელად საჭიროა გაზი ისევე იოლად ტრანსპორტირებადი იყოს, როგორც ნავთობია. ანუ, გაზის მომპოვებელი სახელმწიფოები მაქსიმალურად უნდა გადასულიყვნენ თხევადი გაზის წარმოებაზე, რომლის გადატანაც იოლია.

ცხადია, თხევად გაზზე გადასვლას დრო სჭირდება. მაგრამ იმან, რაც გასულ კვირას შუა აზიაში მოხდა, ნათელი გახადა, რომ გაზის კარტელი თხევადი გაზის გარეშე შეიძლება წარმოიქმნას. ყაზახეთმა, უზბეკეთმა და თურქმენეთმა ერთობლივად განაცხადეს, რომ 2009 წლიდან მოყოლებული ისინი გაზს ევროპულ ფასებში გაყიდნიან. ანუ, გამოდის, რომ ამ სამმა ქვეყანამ უკვე შექმნა თავისი, ადგილობრივი კარტელი და ისინი ერთობლივად აწესებენ ფასს. ევროპული ფასები შუა აზიურ გაზზე იმას ნიშნავს, რომ ამ ფასის გადახდა მათთვის “გაზპრომს” მოუწევს, ხოლო თავად ევროპას უკვე ევროპულზე უფრო მაღალი ფასი გადახდა მოუხდება.

ბუნებრივად იბადება შეკითხვა: რატომ დაიბადა პირველი გაზის კარტელი სწორედ შუა აზიაში და მაგალითად არა ახლო აღმოსავლეთში? ამაზე პასუხი საკმაოდ მარტივია – შუა აზიის ენერგორესურსებისათვის იბრძვის მსოფლიოს უკლებლივ ყველა დიდი ძალა. იბრძვის რუსეთი, რომელიც ერთ დროს შუა აზიას განაგებდა, იბრძვის იქვე მდებარე ჩინეთი და იბრძვის აშშ, რომელიც იქვე არ მდებარეობს, მაგრამ ინტერესები მსოფლიოს ყველა კუთხეში აქვს. აქ კონკურენცია და მოთხოვნა განსაკუთრებით მაღალია და შესაბამისად მაღალი უნდა იყოს ფასებიც.

ვის აძლევს ხელს შუა აზიაში კარტელის შექმნა თავად ამ სამი სახელმწიფოს გარდა და ვინ ზარალდება მისი შექმნით? წესით და რიგით ზარალდება ევროპა, თუმცა ეს ზარალი გრძელვადიან პერსპექტივაში არც ისე სერიოზული იქნება. დავიწყოთ იქიდან, რომ ევროპას იოლად შეუძლია გადაიხადოს ათას კუბურ მეტრში 360 დოლარიც კი, რომელიც მას 2009 წლიდან მოყოლებული ემუქრება,

მაგრამ დროთა განმავლობაში ძველი კონტინენტი თანდათანობით შეამცირებს თავის დამოკიდებულებას ბუნებრივ გაზზე. უკვე მიდის სერიოზული სამუშაოები ბირთვული ელექტროსადგურების აგებასა და ალტერნატიული ენერგოგენერაციის წყაროების განვითარებაზე და პარალელურად ხდება ევროკავშირის ახალი სტანდარტების დანერგვა, რომელიც ენერგოეკონომიური აღჭურვილობის დანერგვას ისახავს მიზნად. 360 დოლარი ევროპისათვის უბრალოდ კიდევ ერთი სტიმული იქნება იმისათვის, რომ დააჩქაროს ყველა ეს პროცესი.

გარკვეულწილად წაგებული შეიძლება დარჩეს რუსეთი. “გაზპრომმა” შეუძლებელია არ დაინახოს ის საფრთხე, რასაც მას უქადის ევროპაში გაზზე მოთხოვნილების შემცირება. რუსეთისათვის ევროპა იდეალური პარტნიორია – გაზის მდიდარი მომხმარებელი, რომელსაც გეოპოლიტიკური ამბიციები არ აწუხებს და რუსეთის შევიწროებას არ ფიქრობს. თუკი ამნაირი მყიდველი რუსეთს თანდათანობით ზურგს შეაქცევს, საჭირო გახდება მისი შემცვლელის გამონახვა. ასეთი შემცვლელი კი მხოლოდ ჩინეთი შეიძლება იყოს, ეს უკანასკნელი კი ევროპისგან განსხვავებით სულაც არ გახლავთ მდიდარი და უწყინარი მომხმარებელი და რუსეთს მისი ნამდვილად ეშინია. ჩინეთი ახლაც, “გაზპრომის” გაზის გარეშეც არნახული ტემპებით ვითარდება და რუსეთის მიერ ნაკლებად ათვისებულ ციმბირს გადაყლაპვით ემუქრება. ძნელი არაა იმის წარმოდგენა თუ რა ტემპებით განვითარდება ჩინეთი, როცა იგი “გაზპრომისგან” დიდი ოდენობით გაზს მიიღებს.

აქედან გამომდინარე “გაზპრომი” წესით უნდა შეეცადოს, რომ ევროპისათვის გაზის ფასის აწევა ზედმეტად მკვეთრი არ იყოს და ეს მან საკუთარი მოგების შემცირების ხარჯზე უნდა გააკეთოს. მაგრამ ეს ყველაფერი მას ალბათ უღირს, რადგან შუა აზიური გაზის დიდი ნაწილი ისევ მას რჩება და ეს მთავარია. მთავარია, რომ შუა აზია გაზს ისევ რუსეთს აძლევს და არა რუსეთის გვერდის ავლით ევროპას. ამიტომ, “გაზპრომი” ყველაფერ ამას იოლად გადაყლაპავს.

მაგრამ გარდა ამისა, რუსეთს კიდევ ერთი რთული ამოცანა ექნება გადასაჭრელი, რომელიც უკვე იმდენად არა ეკონომიკური რამდენადაც პოლიტიკური ხასიათისაა.

უზბეკეთის, ყაზახეთისა და თურქმენეთის მიერ პრაქტიკულად კარტელის შექმნამ ცხადყო თუ ძალას წარმოადგენენ ეს სახელმწიფოები ერთობლიობაში. რუსეთი ისე როგორც ბოლო წლების განმავლობაში მომავალშიც შეეცდება, რომ ჩინეთმა მისგან ენერგორესურსები ვერ მიიღოს, მაგრამ რამდენად შეძლებს იგი იგივე აიძულოს შუა აზიასაც. უკვე საფუძველი ჩაეყარა ენეროთანამშრომლობას ჩინეთსა და ყაზახეთს და ასევე ჩინეთსა და თურქმენეთს შორის. რუსეთმა ვერ შეძლო ამისათვის ხელის შეშლა და საეჭვოა, რომ შეძლოს მომავალში, რადგან რაც უფრო მეტი დრო გადის, ჩინეთის გავლენა შუა აზიაში სულ უფრო და უფრო იზრდება. შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაცია, რომელსაც რუსეთი ძალიან უფრთხილდება, სწორედ რომ პეკინის გავლენის იარაღად იქცა, რომლის წყალობითაც ჩინელები კიდევ უფრო იოლად იკიდებენ ფეხს რეგიონში.

შუა აზიის ხანებს კარგად ესმით ეს ყველაფერი და ამიტომაც მათი გაზი ძვირდება – ვისაც უღირს, მან გადაიხადოს. კარტელი ყაზახეთის გარშემო იკვრება, რომელიც ბოლო ხანებში თავს პრაქტიკულად რუსეთის თანასწორ პარტნიორად მიიჩნევს და ამიტომაც მოსკოვს კარტელზე ზეწოლა გაუჭირდება.

ზეწოლის გარდა არსებობს დარწმუნების გზაც – მოსკოვმა უნდა ჩააგონოს შუა აზიას, რომ მათ რუსეთი სჭირდებათ. მაგრამ რაში სჭირდებათ, ეს რთული საკითხია. სჭირდება შუა აზიას რუსეთი ვინმესგან თავის დასაცავად? ნამდვილად, არა. სჭირდება შუა აზიას რუსეთი გაზის გასაყიდად? უკვე აღარ – ჩინეთი მზადაა მთელი მათი გაზი იყიდოს. ევროპა კი ნაბუკოს აშენებაზე ფიქრობს. უფრო სწორად, აქამდე მაინც ფიქრობდა. რა ბედი ეწევა ამიერიდან ნაბუკოს, ეს უკვე სულ სხვა საკითხია. ამ პროექტის მთავარი იდეა შუა აზიის გაზის ევროპაში რუსეთის გვერდის ავლით ტრანსპორტირებაა. მაგრამ თუკი შუა აზიის გაზი ასე გაძვირდა, ძველ კონტინენტს ნაკლებად უღირს ახალი მილსადენების აგება, მითუმეტეს რომ ყველაფერ ამას საკმაოდ დიდი დრო სჭირდება და ეს დრო და მილსადენებზე დასახარჯი ფული თავისუფლად შეიძლება დაიხარჯოს ბირთვულ ელექტროსადგურებზე და კიდევ სხვა მიმართულებებით.

ასე რომ შუა აზიური კარტელი პრობლემებს ალბათ საქართველოსაც შეუქმნის, რომლისთვისაც ნაბუკო სატრანზიტო ფუნქციის გაფართოებას და ევროპისათვის ენერგოკორიდორის ნაწილად ქცევას ნიშნავს. კიდევ ერთი პოსტ-საბჭოთა ქვეყანა, რომელსაც შუა აზიური კარტელი დააზარალებს, უკრაინა იქნება. რა დიპლომატიური გმირობაც არ უნდა ჩაიდინოს კიევმა “გაზპრომთან” მოლაპარაკებებში, მას გაზისათვის ნამდვილად მოუწევს მეტი ფულის გადახდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ შუა აზიური გაზი ძვირდება. უკრაინას კი ევროპისნაირი ფინანსური შესაძლებლობები ნამდვილად არ გააჩნია, მისი ეკონომიკა ერთობ ენერგოტევადია და ყოველი გაძვირება მეტად და მეტად ძვირი უჯდება.

### ხანთა დუმილი

ვითარება, რომელიც 2009 წლისათვის იქმნება, შეიძლება რაღაცით 1989 წელი მოგვაგონოს. სადღეისოდ კრემლს უკრაინა და საქართველო ეურჩებიან და ახლა ამ ორ ურჩ სახელმწიფოს ნამდვილად დააზარალებს შუა აზიელთა პოლიტიკა. 1989 წელსაც სწორედ შუა აზია იყო ის მხარე, რომელიც კრემლს გვერდით ედგა და ერთგულებას ეფიცებოდა. აქვე უნდა ვაღიაროთ, რომ შუა აზიას მაშინ ამით ნამდვილად არაფერი დაუკარგავს – საბჭოთა კავშირი მაინც დაშლისათვის იყო განწირული, იგი დაინგრა და შუა აზიელებმაც ისევე მიიღეს დამოუკიდებლობა, როგორც მიიღეს სხვებმა, მათ შორის საქართველომ, რომელიც ბალტიისპირეთის ქვეყნებთან ერთად ნაციონალისტური, ანტიკომუნისტური მოძრაობის ავანგარდში იდგა. ოღონდ აი ისე მოხდა რომ საქართველოს თავისი ურჩობის გამო რუსეთისათვის ნამდვილ განტევების ვაცად იქცა და შედეგად მიიღო აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დღემდე მოუგვარებელი კონფლიქტები. შუა აზია იმპერიის რისხვასა და შურისძიებას გადაურჩა, რადგან ბოლომდე მორჩილად იქცეოდა და მანამდე არ დაუძრავს სიტყვა, სანამ საბჭოთა კავშირს თავად მოსკოვმა არ გამოუტანა სასიკვდილო განაჩენი. შუა აზიის ცეკას მდივნები მოწიწებით დუმდნენ, შემდეგ კი, როცა იმპერია თავისით დაემხო, საბჭოთა რესპუბლიკები აზიურ სახანოებად აქციეს და ერთპიროვნულ მმართველებად იქცნენ – მათ უკვე აღარ აკონტროლებდათ მოსკოვი. თუკი ადრე მათ მოსახლეობას ლენინზე უნდა ელოცათ, ახლა გაჩნდა საშუალება, რომ ელოცათ პირადად მათზე.

90-იან წლებში რუსეთი სუსტი იყო, მაგრამ ამ ეს სისუსტე ვერ იქნა გამოყენებული პრეზიდენტ კლინტონის პირველი ვადის დროს. კლინტონი ამერიკის შიდა პრობლემებით იყო დაკავებული და ძვირფასი დრო დაკარგა.

მან მხოლოდ მეორე ვადის დროს მიაპყრო ყურადღება კასპიის რეგიონს და დაისახა საინტერესო გეგმაც, რომლის პირველი ეტაპიც გულისხმობდა აზერბაიჯანის კუთვნილი კასპიური ენერგორესურსების ტრანსპორტირებას. გეგმა განხორციელდა და სწორედ მან უზრუნველყო საქართველოს – ენერგოკორიდორის ნაწილის – მოქცევა დასავლეთის ყურადღების სფეროში. გეგმის მეორე ნაწილი უკვე შუა აზიური კასპიური რესურსების ტრანსპორტირებას ითვალისწინებდა, მაგრამ აქ გეგმამ მოვლენათა დინამიკა ვერ გაითვალისწინა – კლინტონის მეორე ვადის ამოწურვიდან მალე რუსეთმა ისევ წამოყო თავი და ამასობაში გაძლიერდა ჩინეთიც. 90-იან წლებში შუა აზიისათვის რუსეთის გარდა ალტერნატივა არ არსებობდა და ეს უკანასკნელიც რეგიონისათვის უალტერნატივო იყო. კასპიური გეგმის განხორციელება კლინტონის პირველი ვადის დროს რომ დაწყებულყო, შუა აზიას შესანიშნავი ალტერნატივა ექნებოდა აშშ-ის სახით, რომელსაც მაშინ მსოფლიოში მეტოქე არ გააჩნდა და ახლანდელზე გაცილებით უფრო გავლენიანი იყო.

გეგმის განხორციელება გვიან დაიწყო, მან წარმატებით იმუშავა კავკასიაში, სადაც იყვნენ შევარდნაძე და ალიევი, რომლებმაც საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად დაუჭირეს მხარი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტს. მაგრამ როცა გეგმა შუა აზიამდე მივიდა, ვითარება სულ სხვაგვარი იყო – აშშ კვლავაც უძლიერესი გლობალური მოთამაშე იყო, მაგრამ უკვე არა იმდენად ძლიერი, როგორც კლინტონის პირველი ვადის დროს, როცა მას თითქმის ყველაფერი შეეძლო.

აშშ ასევე ერთობ ძლიერი ჩანდა ბუში უმცროსის პირველი ვადის დროსაც. 11 სექტემბრის შემდეგ ამერიკელებმა შუა აზიაში სამხედრო ბაზები გახსნეს და საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ კასპიური გეგმა იოლად განხორციელდებოდა. მაგრამ უზბეკეთში მდებარე ბაზა უზბეკეთის დესპოტური რეჟიმის კრიტიკას გადააწყვა. ამასობაში ამერიკელები ერაყულ ჭაობში ჩაეფლნენ, რამაც ნავთობის ფასები არნახულად ასწია და მასთან ერთად ასწია კრემლის ამბიციები. პუტინი სულ უფრო და უფრო ღიად აკრიტიკებდა ვაშინგტონს, ჩინეთი კი აშკარას ხდის, რომ აღარ აპირებს ითმინოს ამერიკელთა მხრიდან ჭკუის დარიგება და ვაშინგტონის მიერ ადამიანთა უფლებების თაობაზე ანგარიშის გამოქვეყნებას (სადაც ჩინეთის კრიტიკა მუდმივად ფიგურირებს ხოლმე) საპასუხო ანგარიშებს ადგენს ადამიანთა უფლებების დარღვევის თაობაზე თავად ამერიკაში.

შეუძლებელი ყველაფერი ეს არ დაენახათ შუა აზიაში. ასევე შეუძლებელი იყო იქ არ დაენახათ, რომ ამერიკასა და დასავლეთს დემოკრატია მოაქვთ, რაც ადგილობრივ პოლიტიკურ ელიტებს უდიდეს საფრთხეს უქმნის (ამ საფრთხის შეგრძნება კარგად გამოჩნდა იგივე უზბეკეთში, ანდიჟანის ცნობილი მოვლენების მაგალითზე, როცა ვაშინგტონმა დუმილი შეუძლებლად ჩათვალა).

გასული წლის ზაფხულში ამერიკელმა დიპლომატებმა რამდენიმე მნიშვნელოვანი ვიზიტი განახორციელეს შუა აზიაში, რომელთაც ყურადღებით ადევნებდა თვალს რუსეთი იმ უბრალო მიზეზით, რომ ვიზიტები ეძღვნებოდა კასპიურ ენერგორესურსებს ეძღვნებოდა. ყველასათვის გასაგები იყო, რომ ვაშინგტონი ცდილობდა შუა აზიის ლიდერები დაერწმუნებინა მხარი დაეჭირათ ნაბუკოსათვის. ერთი შეხედვით ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ დიპლომატიამ გაჭრა. თუმცა, როგორც მომდევნო მოვლენები ცხადყოფს, გაჭრა სულ სხვა მიმართულებით – შუა აზიაში კიდევ ერთხელ დარწმუნდნენ, რომ მათ გაზზე უდიდესი მოთხოვნილებაა, მაგრამ არ ნისნავდა აუცილებლად იმას, რომ მათ გაზი მაინდამაინც ნაბუკოთი ევროპისათვის უნდა მიეცათ და ამით

რუსეთი გაენაწყენებინათ. ეს ნიშნავდა იმას, რომ მათ გაზი უნდა გაეძვირებინათ.

ამ პოლიტიკაში არაფერია პრორუსული, ანტიდასავლური თუ პროჩინური, ეს უბრალოდ კომერციაზე გათვლილი პოლიტიკაა. “გამომდინარე ჩვენი ეროვნული ეკონომიკური ინტერესებიდან,” – ასეთი შესავალი გაუკეთეს შუა აზიელებმა თავიანთ ისტორიულ განცხადებას. ანუ, არანაირი პირადული.